წლიწადი პირველი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, № 4. ტელეფონები:
საერთო—დღისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

სამშაბათი, 29 მარტი, 1921 წ.

№ 22 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 22

საქ. კომპარტიის ცეკა წინადადებას აძლევს საბჭოთა რესპუბლიკის ყველა დაწესებულებებს, მიაწოდონ ცეკას ცნობათა ბიუროში თავისი მისამართები საჩქაროთ (კრუზენშტეინის ქ. № 4.)

ს. კომპარტიის ცეკა.

კრონშტადტი.

ჩვენ პარტიაში არა ერთხელ გამოთქმულა ის აზრი, რომ ამდენ მუშათა და გლეხთა სისხლით ნაყიდი „ზავი", აუარებელ შინაურ და გარეშე ფრონტების ლიკვიდაცია რუსეთში, არ შეიძლება იყოს ხანგრძლივი, რომ ჩვენი მტრები, დამარცხებულნი მთელ ხაზზე, ვერ დაშოშმინდებიან, ვერ მოისვენებენ, სანამ მოწინავე ქვეყნებში ძალა-უფლება კიდევ ხელთ უპყრია კაპიტალს. ეს ცხადია და გასაგები. ობიექტიური პირობები სოციალური გრგვინვის კვლავ ძალაში არიან, ორი ანტიპოდი: კაპიტალისტური რეაქციის და კომუნისტური რევოლიუციის—ერთი ძალზე შესუსტებული და სამარისაკენ პირ მიმართული, მეორე თანდათან დაუმარცხებელი ძალების შემკრები, კვლავ სინამდვილის აქტიური ფაქტორები არიან. რუსეთში თითქოს ჩამოვარდნილი სიწყნარე დროებითია, ეს შესვენებაა იარაღის, რომ ძალების დაგროვების შემდეგ რევოლიუციონურმა ომმა ისევ იჭექ-იქუხოს. რა გასაკვირია, თუ ავანპოსტებზე აქა-იქ ჩვენ მოწამენი შევიქნებით ცეცხლის ავარდნის და „მშვიდობიანობის" სპორადიული დარღვევის. ეს დებულება ნათელ ჰყო კრონშტადტის დღეს უკვე რევოლიუციის მიერ მოგუდულმა აჯანყებამ, რომლის შესახებ უკვე დაწვრილებით ცნობებს იძლევა რუსეთის საბჭოთა პრესა.

28 თებერვალს წითელი პეტერბურგის გასაღებ კარებთან, რომლის კლიტე კრონშტადტს უკავია, დაიწყო მატროსების მღელვარება გემ „პეტროპავლოვსკზე", რომლის უშუალო ხელმძღვანელებათ გამოვიდნენ შავრაზმელები და სოციალისტ-რევოლიუციონერები. მარტის პირველ დღეებში ეს მოძრაობა გაგრძელდა. კონტრ-რევოლიუციონერებმა დაიჭირეს ბალტიის ზღვის ფლოტის კომისარი, კრონშტადტის მუშათა საბჭოს თავმჯდომარე, ხელთ იგდეს ძალა უფლება და გაემართენ პეტროგრადისკენ. რევოლიუციის სატახტო ქალაქის გარნიზონი პროლეტარიატთან ერთად კომუნისტური პარტიის მეთაურობით, როგორც ერთი კაცი, მყისვე ფეხზე დადგა, მტერი კვლავ სასტიკათ დაამარცხა და სოციალისტური სამშობლო ერთხელ კიდევ განსაცდელიდან იხსნა.

როგორც ყოველთვის, ძაფი ამ აჯანყებისაც ხელთ ეპყრა საერთაშორისო რეაქციის ბუდეს, პარიზს. უკვე ბევრათ ადრე ამ ამბებისა, 13 თებერვალს, პარიზის ნაძირალთა ქუჩურ გაზეთ „მატენში" დაიბეჭდა ჰელსინგფორსიდან გადაცემული ტელეგრამა იმის შესახებ, რომ კრონშტადტში მოხდა ბალშევიკური მთავრობის წინაამდეგ მიმართული მატროსების აჯანყება. როგორც მკითხველი ხედავს, ამ აჯანყებამ თუმცა დააგვიანა ორი კვირით, მარა კიდევ და კიდევ აშკარა ჰყო მისი ინიციატორების ვინაობა.

საფრანგეთის „კონტრ-რაზვედკამ" იჩქარა და დიდი ხნით წინ თვით გამოააშკარავა თავის ზრახვები და საგმირო საქმეები, რომლის მოწყობა მას სურდა და რომელიც მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო ცოტა შეგვიანებით მოხდა..

იმპერიალიზმი სამხედრო ფრონტებზე წითელი არმიის წინაამდეგ გამოსული, იარაღით ხელში სასტიკათ დამარცხებული და უკუ ქცეული, სხვა მხრით უვლის საერთაშორისო რევოლიუციის ავანგარდს. ესაა ბრძოლა ეკონომიურ ნიადაგზე და მოწყობა შინაური აჯანყებების, რომელიც იკვებება რამოდენიმეთ რუსეთისათვის თავზე მოხვეული განუწყვეტელი ომებისა და ამ ბლოკადის გამო გამოწვეული სახალხო მეურნეობის დაშლით, მისგან შექმნილ სასურსათო კრიზისით. ამ ფრონტზედაც ერთი დიდი, სულ უკანასკნელი დამარცხება აგემინა მოსეულ მტერს რუსეთის რევოლიუციამ ევროპის პროლეტარიატის ენერგიული დახმარებით; ბლოკადა ნაწილობრივ გაირღვა უმთავრესი მოწინაამდეგის, დიდი ბრიტანეთის მიერ საბჭოთა მთავრობასთან სავაჭრო ხელშეკრულებაზე იძულებითი ხელისმოწერით. ამიერიდან და ჯერ-ჯერობით ახალ სამხედრო ძალების მოკრებამდე, ომი საერთაშორისო რეაქციასა და რევოლიუციის შორის გადადის სხვა ნიადაგზე. ეს არის სხვადასხვა კონცესიებით და სავაჭრო ხელშეკრულებებით რუსეთის ახალი ეკონომიური რეჟიმისაგან პრინციპიალური დათმობის გამოგლეჯა. ასეთ ახალი ხასიათის ომს ემატება უკანასკნელ წლებშიაც წარმოებული სისტემატიური შინაური აჯანყებების ცდის განახლებული ენერგიით გაგრძელება. ამ აჯანყებებში, როგორც ბრძოლის სხვა ფრონტებზე, იმპერიალიზმის აქტიურ აგენტებათ გვევლინებიან ისევ რუსეთიდან მოღალატობისათვის განდევნილი „სოციალისტური" პარტიები ესერების მეთაურობით, რომელთა მეთაურობა კრონშტადტის ამბოხებაში დღეს დამტკიცებულია. ისინი ოფიციალურათ აცხადებენ, რომ ხელმძღვანელობდენ კრონშტადტის გამოსვლას საბჭოთა მთავრობის წინაამდეგ. შეჩვეულნი დამარცხებას, მათ ერთხელ კიდევ კისერი მოიტეხეს, მარა ამ ახალი ავანტიურითაც აშკარათ დაანახვეს მთელ მსოფლიო პროლეტარიატს და მათ შორის მემარჯვენე სოციალიზმით დროებით დაბრმავებულებსაც თავის გამურული შავრაზმული სახე და ცხად ჰყვეს, რომ სოციალისტურმა რევოლიუციამ მათ მძოვრებზედაც უნდა გადაიაროს თავის საბოლოოთ გასამარჯვებლათ.

რუსეთის გმირული პროლეტარიატი თავის უძლეველ წითელი არმიით და კომუნისტური პარტიის მეთაურობით, გამობრძმედილი განუწყვეტელ ომებში, გაუმკლავდება ახალ საფრთხესაც და ძლევამოსილი ჩაიბარებს ბრძოლაში დაცხრილულ დროშას მსოფლიო საბჭოთა ფედერაციის. ამის უტყუარი თავდებია კრონშტადტის აჯანყების დამარცხება.

პროლეტარიატის დიქტატურა.

ორგვარი, ერთიმეორის საწინააღმდეგო დამოკიდებულება არსებობს საზოგადოებაში მუშათა კლასის დიქტატურისადმი.

შეძლებული კლასი შიშს და სასოწარკვეთილებას შეუპყრია, მისი უკვე კონსერვატიული ბუნება აქამდი არსებულ მდგომარეობას ებღაუჭება და ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ რაც იყო, ამიერიდან აღარ იქნება, და აუცილებელია ახალ, უჩვეულო ცხოვრების დაწყება, როდესაც შეუძლებელი ხდება მშრომელთა ექსპლოატაცია და მათ ხარჯზე ფუფუნებით დროს გატარება, როდესაც საჭიროა, არსებობის შესანარჩუნებლად, საკუთარი მარჯვენის ამუშავება და გარჯა.

პირიქით, მუშათა კლასი ზეიმს განიცდის. მისი შეკრული, დანაოჭებული შუბლი და დაღვრემილი სახე გახსნილია და განათებული; მისი ჩაბნელებულ და ჩავარდნილ თვალებში იმედის ნაპერწკალია გაღვივებული, მის მოძრაობაში ურყევი ნებისყოფა მოსჩანს. და აქვს მუშა ხალხს საფუძველი სადღესასწაულო სულიერ განწყობილებისათვის. იგი აწმყოთი უკმაყოფილო, მუდამ დინამიურ ძალას წარმოადგენდა და მიისწრაფოდა არსებობის გაუმჯობესებისაკენ; ეხლა იგი ცხოვრებას სათავეში მოექცა, ძალა-უფლება აიღო ხელში, და საშუალება მიეცა თავისი დიადი იდეალის—შრომის სუფევის განხორციელებას შეუდგეს. ამ მიზნისათვის ბრძოლაში პროლეტარიატი სასტიკი, შეუბრალებელი უნდა იყვეს და არის კიდეც, იგი ვერ მოითმენს ჯგუფების თუ პირების მოქმედებას, რომელიც მის მუშაობას გაართულებს და საერთო მდგომარეობას გაამწვავებს. ასეთი მოქმედება კი მოსალოდნელი და შესაძლებელია: საზოგადოებაში. როგორც მოვიხსენიე, არიან წრეები, რომლებისათვის დიდად საზიანოა კომუნიზმის დამყარება, რომელიც მათ პრივილეგიურ მდგომარეობას მოსპობს და ყველას გაათანასწორებს ნივთიერად და უფლებრივად. ეს ელემენტები გაჟღენთილი არიან ვიწრო კლასიური ეგოიზმით და ვერ ამაღლებულან საზოგადოების, როგორც მთელის, ინტერესების შეგნებამდე. ცხადია, პროლეტარიატი ასეთ გარემოებაში მიმართავს იძულებას და არაჩვეულებრივ ზომებს, იმდენად, რამდენადაც გრანდიოზულია თვით ბრძოლის მიზანი. სწორედ ეს არის პროლეტარიატის დიქტატურა. იგი ხელისუფლების ისეთი ფორმაა, რომლის მიხედვით მუშათა კლასი, განზრახულ მიზნის მისახწევად, ნებსით თუ უნებლიედ ამოქმედებს საზოგადოებრივ ძალებს: ვინც არ ჩაებმება ამ მუშაობაში და ამასთანავე მავნებელია საქმისათვის, მათ წინააღმდეგ განსაკუთრებულ რეპრესიებს მიმართავს. ამ ზომებიდან მთავარი გახლავთ ასეთი ელემენტების ჩამოშორება მართვა-გამგეობიდან, მათთვის საარჩევნო უფლების წართმევით და საზოგადოდ მოქალაქის უფლებების შეზღუდვით. აქ უნდა ავღნიშნოთ, რომ სწორედ ეს მხარე პროლეტარიატის დიქტატურისა იწვევს სხვა და სხვა წრეებში მითქმა-მოთქმას და განგაშს. ამბობენ, რომ ამით არსებული უთანასწორობის მოსპობის მაგივრად იქმნება ერთის სანაცვლოდ ახალი პრივილეგიური და გაბატონებული კლასი—მუშათა კლასი, ასე რომ კლასიური დანაწილება და საზოგადოების კაპიტალისტური სტრუქტურა ისევ ძველი რჩება.

ასეთი შეხედულობა ან გაუგებრობის ნაყოფია, ან დემაგოგიაა. მართლაც და, დიქტატურა თავის თავად ძველი მოვლენაა, როგორც თვით საზოგადოების ისტორიაც. მაგრამ დღევანდლამდე დიქტატორები ყოფილან, ქრონოლოგიური თანდათანობით თუ საერთო მონაწილეობით, სასულიერო წოდება, მემამულეები და ბურჟუაზია, ხოლო ობიექტი დიქტატურისა იყო მშრომელი მასსა. პირველების ბატონობა ემსახურებოდა მათივე ვიწრო ჯგუფურ ინტერესებს და აშკარად იყო მიმართული ხალხის დიდ უმრავლესობის წინააღმდეგ. ამასთანავე ისინი, რომელნიც არავითარ რეალურ ღირებულებას არ ქმნიდნენ, მატარებელი იყვნენ სრული სამოქალაქო უფლებებისა და მართვა-გამგეობას უდგნენ სათავეში, ხოლო ვინც კი საზოგადოებრივ სასარგებლო მუშაობას ეწეოდა და ქმნიდა ნამდვილ ღირებულებას, ყოველგვარ უფლებას მოკლებული იყო. სულ სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე პროლეტარიატის დიქტატურის დროს. მუშათა კლასი, იბრძვის რა საზოგადოების კომუნისტურ საფუძველზე გარდაქმნისათვის, იკმაყოფილებს არა მარტო თავის კლასიურ ინტერესებს. კომუნისტური წყობილება სასარგებლოა და ერთადერთი სახსნელი საშუალებაა აგრეთვე ხალხის დიდი უმრავლესობისთვის, მისი მშრომელი ნაწილისათვის, რომელიც მწვავედ განიცდის კაპიტალის ექსპლოატაციას და მისი უღლისაგან განთავისუფლება მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი. ვინაიდან მუშათა კლასი ემსახურება საზოგადოების აბსოლიუტურ უმრავლესობის კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის აუცილებელ საქმეს, მას აქვს ყოველგვარი უფლება, ყველა მის განკარგულებაში მყოფ საშუალებებით და შეუბრალებლათ აწარმოვოს ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, ვინც დაბრკოლებას შექმნის და გადაეღობება ამ მიზნის განსახორციელებლად მიმართულ აღმშენებლობითი მუშაობას. აქ არის სრული გამართლება პროლეტარიატის დიქტატურისა.

გარდა ამისა, სამართლიანია შეხედულება, რომ საზოგადოებრივი შრომა არის აუცილებელი პირობა სამოქალაქო უფლებისა; ვინც საერთო მუშაობაში მონაწილეობას არ იღებს და ვალდებულებას არ კისრულობს, მას არც აქვს საფუძველი რაიმე უფლებაზე პრეტენზიები განაცხადოს.

მთავარი კი ის არის, რომ სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევით ასეთი ელემენტებისათვის მუშათა კლასი აღწევს ორ მიზანს: 1) სპობს ზოგიერთი ელემენტების მავნებლობის შესაძლებლობას და 2) იძულებულს ხდის მათ საერთო, კოლექტიურ მუშაობაში ჩაებან, რაც გაათანასწორებს მათ სხვა მშრომელ მოქალაქეებთან. ამით კი კლასიური დანაწილება სავსებით ისპობა და კომუნისტური წყობილება მყარდება. მაშინ პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც ფორმა მართვა-გამგეობის, რომელმაც შეასრულა დაკისრებული როლი, თავის-თავად უქმდება. ამნაირად, პროლეტარიატის დიქტატურა არის ხელისუფლების დროებითი ფორმა კაპიტალიზმიდან კომუნიზმამდი გარდამავალ ხანისა. რა უჭირთ რომ ამ გარდამავალ ხანაში დაგვჭირდება ზოგიერთი, შეიძლება მძიმე „ქირურგიულ" ოპერაციების მოხდენა საზოგადოებრივ ორგანიზმზე: დაავადებულ ორგანიზმის განკურნება მოითხოვს ოპერაციის საშუალებით ზედმეტი და დაჩირქებულ მუწუკების მოშორებას.

კან.

— **საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი** მოთავსებულია კრუზენშტეინის ქ. № 4.

— **საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი**—პლეხანოვის ქ. 96.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი".

— მე-2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ № 87.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი, კახეთის მოედანი.

— მე-4 ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში.

მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— **საქ ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა**—ყოფილ „ევროპიულ სასტუმროს" შენობაში. (რუსთაველის პრ. № 25).

კომპარტიის მე-10 ყრილობა.

მოსკოვი. 25 მარტი. (რადიო). პარტიის ყველა წევრებს. ცენტრალურ კომიტეტის ახალმა შემადგენლობამ თავის პირველ სხდომაზე ერთხმად დაადგინა, მიმართოს პარტიის ყველა წევრებს შემდეგი წერილით: რ. კ. პ. მე-10 ყრილობამ გაუკეთა ჯამი პარტიის წლიურ მუშაობას, რომელიც მდიდარი იყო უდიდესი შემთხვევებით და უმნიშვნელოვანეს ისტორიულ გაკვეთილებით. პარტია უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში... (დამახინჯებულია)... ჩვენი რევოლიუციის მომავალი ბედის მნიშვნელოვან... პარტია ეძებდა საუკეთესო გზას ხალხის მასსებთან, რაც შეიძლება მჭიდრო კავშირის დასაჭერათ. პარტია ღებულობდა საუკეთესო ზომებს, რათა მიეპყრო ყურადღება მუშათა მასსების და ორგანიზაციებისა პროფკავშირების წარმოებისაკენ. პარტიამ ერთხელ კიდევ განსაზღვრა ურთიერთობა პროლეტარულ ავანგარდისა ყველა კლასების მიმართ. პარტია. ძირიან-ფესვიანათ აამოძრავა ამ თემაზე აღძრულმა კამათმა, რომელმაც მიიპყრო ყურადღება პარტიის თითქმის ყველა წევრისა. რ. კ. პ. მე-10 ყრილობამ გაუკეთა ჯამი ამ კამათს, რომელმაც ზოგან ბრძოლის მსვლელობის დროს გაამწვავა ურთიერთობა ამხანაგთა განცალკევებულ ჯგუფებს შორის. ჩვენი პარტიის და რესპუბლიკის მტრები ცდილობდნენ გამოეყენებიათ ეს კამათი, როგორც ჩვენი პარტიის გაყოფის და დაშლის დასაწყისი. მე-10 ყრილობას კომუნიზმის მტრების ეს იმედები სასაცილოდაც არ ეყო და დაამტკიცა, რომ ჩვენი პარტია როგორც აქამდე, ისე ეხლაც წარმოადგენს მთლიან პარტიას რკინის დისციპლინით და მტკიცე ძმურ კავშირით.

გარემოებათა მსვლელობამ მე-10 ყრილობას დაუსვა მთელი რიგი საკითხებისა. მოგვიხდა ხელახალი გადასინჯვა ჩვენი სასურსათო პოლიტიკისა. ყრილობა დიდის ყურადღებით შეჩერდა პროლეტარიატის და გლეხობის ურთიერთობის საკითხზე.

ყრილობას მოუხდა დიდ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა გამოტანა: პარტიულ აღმაშენებლობის, აღმასრულებელ კომიტეტის პოლიტიკის და კონცესიების საკითხების შესახებ. ყველა ამ დიდმნიშვნელოვან საკითხებში ყრილობაზე სუფევდა აბსოლიუტიური ერთსულოვნება.

ყრილობის სპეციალურ დადგენილების თანახმად, დაშლილია ყველა განცალკევებული ჯგუფები, რომლებიც მათი წევრების სურვილის წინააღმდეგ შეიძლება შემდეგში გადაიქცნენ ცალკე

დღეს ნომერში:

ოსმალეთის ჯარები სცლიან ახალციხეს, ახალ-ქალაქს და ბათომის ოლქს.

წითელი არმია სომხეთში წინ მიიწევს და უკვე ერევანს დაუახლოვდა.

რ. კ. პ. ც. კომიტეტის მიმართვა პარტიის წევრებისადმი, დაიცვან პარტიის მთლიანობა და ერთსულოვნობა და გააძლიერონ მუშაობა.

საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის მცირე აზიაში სამხედრო მოქმედება დაიწყო.

გლეხთა აჯანყება იტალიაში.

სიმშილი და აგრარულ ნიადაგზე ამბოხება ინდოეთში.

იაპონიაში ძლიერდება რევოლიუციონური მოძრაობა.

ფრაქციებათ. ყრილობა ურყევათ იცავდა თავის მიმართულებას, რომ ბოლო მოღებოდა ყოველნაირ ფრაქციობას და ამისკენ მოუწოდებს მთელ პარტიას ცენტრალური კომიტეტი.—გარემოებებმა დაგვანახვა, რომ ჩვენ ყველანი ვცქარობთ, როდესაც ვლაპარაკობთ საბჭოთა რესპუბლიკის ცხოვრების მშვიდ ხანის დაწყებაზე. რასაკვირველია, რომ ფრონტებზე ჩვენი ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდა ,მაგრამ ჩვენი მტრები აწარმოებენ ჩვენ წინააღმდეგ იმავე ომს მხოლოდ სხვა ფორმით, ანტანტის, მენშევიკების, კადეტების და ესერებისგან. შინაურ ფრონტზე გამართული ბრძოლა მით უფრო სახიფათოა, რომ შვიდ-წლიანი ომით გამოწვეული ქვეყნის დასუსტება და სიღატაკე ახლა უფრო მწვავეთ საგრძნობია. მთელი ვითარება მოითხოვს პარტიისაგან ისეთივე შეკავშირება-გაერთიანებას, როგორსაც ჩვენ ვაწარმოებთ დენიკინის, კოლჩაკის, იუდენიჩის და ვრანგელის წინააღმდეგ სისხლის მღვრელ ბრძოლის დროს. პარტია გაუსწორდება თავზე მოხვეულ ყველა ძველ საფრთხეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ხიფათი იქნება მალე ნაგრძნობი და შევებრძოლებით მას ერთსულოვნათ, როგორც ერთი კაცი.

რუსეთის მუშათა კლასი თავის ავანგარდ-რუსეთის კომუნისტურ პარტიის საშუალებით იძლევა განსაზღვრულ წინადადებას, რომელმაც უნდა განამტკიცოს პროლეტარიატსა და გლეხების შორის რევოლიუციონური კავშირი. პარტიის ყველა ორგანიზაციის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ გავიდეს სოფლებში და გააძლიეროს გლეხებს შორის მუშაობა, აუხსნას გლეხთა ფართო მასებს მდგომარეობის მთელი სირთულე და განუმარტოს პარტიულ ყრილობის გადაწყვეტილებანი, არა... (გამოტოვებულია)... ნაკლებათ შეგნებულ უპარტიო მუშათა წრეში არსებულ რყევას.

პარტია, პირველი ყრილობის სახით, დაამტკიცებს სიმტკიცეს და შეურყეველ გადაწყვეტილებას, დაიცავს, რათაც არ უნდა დაუჯდეს, პროლეტარიატის დიქტატურას. პარტია შესძლებს გამონახოს ბევრი ახალი გზები უპარტიო მასებთან დასაახლოვებლათ. პარტიის წევრები შესძლებენ კვლავ შეიჭრან მუშათა მასების ხშირ ჯგუფებში, დაეხმარონ მათ ყოველ დღიურ მოთხოვნილებაში, რითაც კი შეიძლება, მეუმსუბუქოს გასაჭირი და გაძლიერებით ადევნოს თვალყური მათ მოთხოვნილებებს. პარტიის ყოველ წევრს ამავე დროს ახსოვს, რომ რამდენათაც მტკიცე იქნება ერთ სულოვნება, იმდენათ ნაკლები იქნება არა საკმაოდ შეგნებულ პროლეტარიატის და ნახევრად პროლეტარიატის მერყეობა, და მით უფრო ადრე გამოვალთ მძიმე მდგომარეობიდან. დიდ მნიშვნელობის გადაწყვეტილება, მე-10 ყრილობის მიერ მიღებული, არის საკითხი პარტიის ალმაშენებლობისა. პარტია არ მისდევს პარტიის წევრთა რაოდენობის გადიდებას, სამაგიეროდ დიდ ყურადღებას აქცევს მის თვისებების გაუმჯობესებას. პარტიამ გადასწყვიტა, რათაც უნდა დაუჯდეს, მოსპოს ბიუროკრატიზმი და ეს... (დასასრული არ არის მიღებული)...

საბჭოთა საქართველოში.

ოსმალთა მიერ ახალციხის, ახალქალაქის და ბათუმის ოლქის დაცლა

ოსმალეთის ლაშქრის აღმოსავლეთის ფრონტის სარდალმა ქიაზიმ ქარაბეკირ ფაშამ ოფიციალურათ აცნობა ჩვენს სარდლობას, მოსკოვის რომ რუსეთ-ოსმალეთის კონფერენციის დადგენილების თანახმათ, მისი ჯარები სცლიან ახალციხეს, ახალქალაქის და ბათომის ოლქს.

ბათომში

რევკომი. ბათომის სამხედრო რევოლიუციური კომიტეტი გადადგა. დაარსდა საოლქო რევოლიუციონური კომიტეტი შემდეგ პირთაგან: ამხ. ს. ქავთარაძე, მ. ტოროშელიძე (ფინანსები და სახალხო განათლება), დ. მახარაძე (სასურსათო საქმე), კ. ქაჯაია (რევკომის გამგეობის მართველობა), ამხ. ელენტი (სამხედრო), ს. გუბელი (იუსტიცია), ი. პევცოვი (სახალხო მეურნეობის საბჭო), კ. ქავთარაძე.

მილიცია. ქ. ბათომისა და ოლქის მუშა-გლეხთა მილიციის უფროსად დაინიშნა ამხ. ურუშაძე. ბრძანებით № 1 ამხანაგმა ურუშაძემ წინადადება მისცა ბათომის ოლქის კომისარს, მილიციის უფროსს, ნაწილებისა და რაიონების კომისრებს და მილიციონერებს, დარჩნენ თავის ადგილებზე თანამდებობის ასასრულებლათ. ბათომის მილიციის უფროსათ დაინიშნა ამხ. იმნაიშვილი; მილიციის პოლიტიკურ კომისრად—ამხ. აპოლ. ყიფიანი.

სასურსათო კომისია. დაარსდა სასურსათო კომისია ამხ. ნ. ბოჭორიშვილის მეთაურობით. კომისიის წევრებათ არიან: ქალაქის თავათ ნამყოფი გ. ანჯაფარიძე, ვ. კანდელაკი, ი. ფაინშტეინი და მ. ბალდანოვი.

ნავსადგურში. ნავსადგურის სამხედრო კომისრათ დაინიშნა ამხ. კვანჭატირაძე, ნავსადგურში დარჩნენ შემდეგი გემები: „ჭოროხი", „თავრიდა", „მუშა", „შევარდენი", „ქუთაისი", „მარია", „გელი", „წმინდა ნიკოლოზი", ორი ბარჟა და წვრილი ნავები. 19 მარტს ნავსადგურში შემოვიდა 2 გემი უცხოელთა დროშებით. სამხედრო კომისრის წინადადებით ამ გემებმა [illegible] რში. 19 და 20 მარტს ანატოლიის ნავსადგურებისკენ წავიდა 4 გემი სხვა და სხვა ტვირთით.

საბაჟოში. საბაჟოს კომისრათ დაინიშნა ამხ. იაკუბოვი. გაიცა ბრძანება ყველა ფასიან საქონლის შენახვის შესახებ საბაჟოს საწყობებში. რევკომის განკარგულებით შეუდგნენ საბაჟოში ყველა არსებულ საქონლის აღწერას. საბაჟოს უწყების ყველა მოხელენი, ბათომში ევაკუაციის წესით წასულნი, რიცხვით 15 კაცი, ბრუნდებიან თავიანთ სამსახურის ადგილებზე.

ლტოლვილთა ევაკუაცია. დაარსდა ლტოლვილთა ევაკუაციის კომისია, ევაკუაციის კომისრის კ. მოდებაძის ხელმძღვანელობით. უწყებებს და დაწესებულებებს მიეცათ წინადადება შეადგინონ სიები გასაგზავნ მოხელეთა და მათი ქონებისა.

საბინაო განყოფილებაში. საბინაო განყოფილების თავმჯდომარეთ დაინიშნა ვ. რამიშვილი. დაიწყო რეგისტრაცია ყველა ბინების, მაღაზიების, საწყობების, სარდაფების და სხვ.

პროფკავშირებში. შედგა პირველი სხდომა პროფკავშირების ახლად დაარსებულ დროებითი ბიუროსი. არჩეულ არიან თავმჯდომარეთ ამხ. კულიკოვი, მდივნათ თაყაიშვილი და ხაზინადრათ ამხ. ცერანსკი. ბიურომ დაადგინა მისცეს წინადადება ყველა კავშირების გამგეობას, განაახლონ თავისი მოქმედება. ყველა პროფკავშირების მოქმედება ბიუროს დადგენილებით, შეთანხმებული უნდა იყოს საბჭოთა რუსეთში პროფკავშირების მიმართულების პირობებთან. სახელმწიფო მოხელეებს ნაცვლად მათი კავშირების დაყოფისა სექციებზე, წინადადება მიეცათ შეერთდნენ ერთს კავშირში.

„მოამბე". დაიწყო გამოსვლა გაზეთმა სათაურით „მოამბე"-მ, ბათომის საოლქო რევოლიუციონურ კომიტეტისა.

მიტოვებული ქონება. დაარსდა კომისია და შეუდგა უპატრონო ქონების შეგროვებას, რომელიც მიატოვეს მენშევიკურმა მთავრობამ და სხვადასხვა პირებმა.

რადიო სადგურზე. ბათომის რადიო [illegible] რატი შეკეთებულია და რადიო სადგურმა დაიწყო მოქმედება.

ბაზარი შესამჩნევათ გაცოცხლდა. აწეული ფასები კლებულობს.

შაბათობა შულავერში.

შულავერი, 26 მარტი. დღეს შესდგა შულავრის პროლეტარების „მეოთხე შაბ თობა", რომელშიც 500 კაცმა მიიღო მონაწილეობა. მათ გაწმინდეს 3 სარწყავი არხი, სიგრძით 15 ვერსი. გრძნობდა რა სამუშაოს დიდმნიშვნელოვანებას, ქალაქის პროლეტარიატი ძალადაუტანებლად, ზურნის ხმაზე მთელი დღე გართული იყო თავისუფალ შრომაში. მოხუცებულები ამბობენ, რომ ასე სწრაფათ და სუფთად, როგორც ეხლა, არასოდეს არ შესრულებულა ეს სამუშაოო.

შაბათობაში მონაწილეობის მიმღებთ უფასო სადილი და პური მისცეს.

შულავერში.

შულავერი, 26 მარტი. შულავერში გაიხსნა გრუსტას განყოფილება. 22 მარტს მოეწყო ქალაქ. ახალგაზრდა კომუნისტ. კავშირი.

საბჭოთა სომხეთში.

შეტევა ერევანზე.

დამშრალი შადრევანის (სუსტი ფონტანის) მიმართულებით: უკანასკნელ ოფიციალურ ცნობებით წითელმა ჯარებმა დაიჭირეს დამშრალი შადრევანი და ნოვონიკოლაევკა. შეტევას ერევანზე განაგრძობენ.

ნახიჩევან-ერევნის მიმართულებით: ნახიჩევან-ერევნის რკინის გზის რაიონში ჩვენი მოწინავე რაზმები ერევანს მოუახლოვდნენ.

ახალბაიაზეთის მიმართულებით: წითელ არმიის შეტევა ერევანზე ახალბაიაზეთის მხრით კარგათ სწარმოებს. რაიონში სიწყნარეა. ჩვენი ნაწილები დაუბრკოლებლივ მიდიან წინ.

საზღვარ-გარეთ

შიმშილით გამოწვეული უწესოება ინდოეთში.

ლონდონი, 25 მარტი. გაზ. „ტაიმსი" იუწყება: ალდაგაბადში (ინდოეთი) დაიწყო აგრარული უწესოება, რომელიც გამოწვეულია მოუსავლობით და შიმშილობით შეერთებულ პროვინციებში, განსაკუთრებით ფეიზაბადის მაზრაში. ანგარიშობენ 10,000 დემონსტრანტს, მეტათ აღელვებულათ, პოლიციის მთავრობის წინააღმდეგ. რაიბარელაის მაზრაში დიდი შეტაკებაა პოლიციასთან. გამოჩენილი რევოლიუციონერები დააპატიმრეს. დიდძალი გლეხობა დაიფანტა მაზრებში და ანადგურებენ მიწის მესაკუთრეთა მოსავალს.

აჯანყება იტალიაში.

ქრისტიანია, 14 მარტი. მილანიდან მოსულ ცნობებით კალაბრიაში გლეხთა აჯანყებამ იფეთქა. ტოსკანაში საერთო გაფიცვაა, რის გამო სამხრეთი იტალია მოწყვეტილი დარჩა ჩრდილოეთ იტალიიდან. მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკება, მრავალი დაიხოცა და დაიჭრა. მთავრობის ჯარებმა დააპატიმრეს 1500 კაცი. მოსალოდნელია საერთო გაფიცვის გამოცხადება იტალიაში.

მოსკოვი, 26 მარტი. (რადიო). საბერძნეთის ჯარები მცირე აზიაში შეტევაზე გადავიდნენ მუსტაფა ქემალ-ფაშის ოსმალეთის ჯარების წინააღმდეგ.

რევოლიუციონური მოძრაობა იაპონიაში.

მოსკოვი. 20 მარტი. სოციალისტურმა ლიგამ იაპონიაში, რომელსაც მთავრობა განუწყვეტლივ სდევნიდა, მოაწყო ტოკიოში მთელი რიგი ფარული მოსამზადებელი კრებებისა გამოჩენილ ჩინელ და კორეელ სოციალისტების მონაწილეობით რევოლიუციონურ მოძრაობის მეთოდების შესამუშავებლად. პოლიციამ გადასწყვიტა ამ კრებების ჩაშლა. გაიგო რა სოციალისტების კონფერენციის კრების შესახებ, პოლიციის უფროსმა ალყა შემოარტყა კრების სახლს. კრების დარბაზში შეიყვანეს ჟანდარმები. ჟანდარმების დასწრებამ კრების წევრებში გამოიწვია აღელვება და კრების თავმჯდომარემ განაცხადა, რომ იაპონიის მთავრობა თვით აიძულებს სოციალისტებს სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ. ჟანდარმებმა თავმჯდომარეს ლაპარაკი ყვირილით შეაწყვეტინეს, მაგრამ ჟანდარმების ხმა დაფარა დამსწრეთა მოწონების ძახილმა. ჟანდარმერია ულონო აღმოჩნდა და სოციალისტების კრებამ დადგენილება გამოიტანა, რომ საჭიროა დაუყონებლივ შეუდგეს მუშათა და გლეხთა უფლებისათვის ბრძოლას.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი № 5.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.

რეკვიზიციასა და კონფისკაციაზე.

1. არავითარი ქონება არ შეიძლება ჩამორთმეულ ან დაკავებულ იქნეს გარეშე იმ წესებისა, რომელიც აქ არის ნაჩვენები.

2. რეკვიზიცია ეწოდება სახელმწიფოს მიერ იძულებით ჩამორთმევას ან დროებით დაკავებას ქონებისა, რომელსაც ჰფლობს კერძო პირი ან საზოგადოება, იმ ფასად, რომელსაც განსაზღვრავენ ხელისუფლების სათანადო ორგანოები (მ.მ. 9 და 10).

3. კონფისკაცია ეწოდება სახელმწიფოს მიერ უსასყიდლო იძულებით ჩამორთმევას იმ ქონებისა, რომელსაც ჰფლობს კერძო პირი ან საზოგადოება.

4. საერთო სახელმწიფო მომარაგების მიზნით სურსათ-სანოვაგის ან სამეურნეო საწარმოო საგნების რეკვიზიციის უფლება ეძლევა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს და მომარაგების სახალხო კომისარს კუთვნილებისამებრ, ხოლო ორივე უწყება ახორციელებს თავის უფლებას, როგორც პირდაპირ, ისე ადგილობრივ ორგანოების საშუალებით.

შენიშვნა: უფლება და წესი რეკვიზიციისა და კონფისკაციისა სხვა უწყებების მიერ განისაზღვრება საგანგებო დეკრეტებით.

5. კონფისკაციის უფლება ეკუთვნის გარდა ზემოხსენებულ ორგანოებისა, აგრეთვე სრულიად საქართველოს საგანგებო კომისიის პრეზიდიუმს, რევოლიუციონურ ტრიბუნალებს, სახალხო სასამართლოებს, რომელნიც მიმართავენ ამ ზომებს, როგორც სასჯელს. ეს უფლება ხორციელდება ზემოაღნიშნულ ორგანოების განსაკუთრებულ დადგენილებით, [illegible] დაინტერესებულ პირებს, თანახმად ამ დეკრეტში მოხსენებულ მე-10 მუხლ სა: რევოლიუციონურ ტრიბუნალებს და სახალხო სასამართლოებს თავისი დადგენილება კონფისკაციის შესახებ შეაქვთ სასამართლოს განაჩენში.

6. რეკვიზიცია ან კონფისკაცია საოჯახო ნივთებისა (ავეჯეულობა, ტანისამოსი, ფეხსაცმელი, ჭურჭლეული და სხვ.) აღკრძალულია. იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებრივი საჭიროების ინტერესი მეტად მწვავედ მოითხოვს ზემოაღნიშნულ ნივთებს, უფლება მათი რეკვიზიციისა ანუ კონფისკაციისა ეკუთვნის საგანგებო კომისიას, რომელშიაც შედიან წარმომადგენელნი საგუბერნიო რევკომისა.

საგუბერნიო სახალხო მეურნეობის საბჭოსი და საგუბერნიო მომარაგების კომიტეტისა იმ პირობით, რომ თვითეულ შემთხვევაში აცნობებენ სათანადო ცენტრალურ ხელისუფლებას. რეკვიზიციისა და კონფისკაციის ყოველ შემთხვევას აუცილებელ ესწრებიან აგრეთვე წარმომადგენელნი ადგილობრივი ხელისუფლებისა.

7. რეკვიზიციით და კონფისკაციით ჩამორთმეული ქონება ჩაირიცხება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის საკუთრებად, ან დროებით საკუთრებად და გადაეცემა ხელისუფლების სათანადო ორგანოთა მიერ არა უგვიანეს სამი დღისა, დღიდან მათი ჩამორთმევისა.

ორგანოები, რომელნიც ახდენენ რეკვიზიციის და კონფისკაციის მოხდენას და აგრეთვე ის ორგანოებიც, ვისთანაც გადაეცემა რეკვიზიციით და კონფისკაციით ჩამორთმეული საგნები, აწარმოებენ სწორე აღრიცხვას და ინვენტარის სიას.

შენიშვნა: უფრო დაწვრილებით წესი კონფისკაციით და რეკვიზიციით ჩამორთმეული საგნების სათანადო უწყე- [illegible] აღრიცხვისა და შეფასებისა, შემოღებულ იქნება [illegible] კომისარის ინსტრუქციით, რომლის გამომუშავებაში მონაწილეობს [illegible] მომარაგების სახალხო კომისარი, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი. ამ ინსტრუქციის გამოცემამდის ძალაში რჩება ის საერთო წესი, რომელიც მოხსენებულია ამ დეკრეტის მე-7—10 მუხლ.

8. გამოსყიდვა რეკვიზიციით ჩამორთმეულ ქონებისა ხდება მთავრობის იმ ორგანოს მიერ, რომელმაც დაადგინა რეკვიზიციის მოხდენა ერთი თვის განმავლობაში, დღიდან სარეკვიზიციო აქტის ასლის ჩაბარებისა დაინტერესებულ პირისადმი.

9. თვითეულ რეკვიზიციის, კონფისკაციის და ქონების დაკავების შემთხვევაში ჩამორთმევის დროს შედგენილ უნდა იქნეს საგანგებო აქტი, სწორი აღნიშვნით: 1) ფორმალური საფუძველისა, რომლის ძალითაც იგი ხდება და 2) რეკვიზიციით და კონფისკაციით ჩამორთმეულ ქონებისა. კონფისკაციის ან რეკვიზიციის სახით ჩამორთმეულ ქონების პატრონს ზემოხსენებულ აქტის ასლი გადაეცემა არა უგვიანეს სამი დღისა.

11) იმ შემთხვევაში, თუ კონფისკაცია ხდება სასჯელის სახით, ხელისუფლების ორგანოები, რომელნიც ახდენენ კონფისკაციას, ვალდებულნი არიან დაუტოვონ ჩამორთმეული საგნების პატრონს და მის ოჯახის წევრებს ოჯახისათვის საჭირო საგნები და აგრეთვე საგნები პროფესიისა და წარმოებისა იმ ზომით, რაც მიღებულია საერთო წესით.

ამასთანავე საჩივრები, უკანონო მოქმედებაზე კონფისკაციის შესრულების დროს, უნდა მიეცეს ადგილობრივ რევკომის პრეზიდიუმს, რომელიც ვალდებულია სამი დღის განმავლობაში განიხილოს საჩივარი არსებითად.

11. ამ დეკრეტის დარღვევისათვის დამნაშავე სამსახურის პირნი პასუხს აგებენ სახალხო სასამართლოს წინაშე.

12. კომისია, რომელიც ნაჩვენები არის მე-6-ში, არსდება საგუბერნიო რევკომთან.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევკომის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე,** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ვ. კვირკველია,** მთავრობის მდივანი **გაბრიჩიძე,** 1921 წლ.. 20 მარტი, თბილისი, სასახლე.

შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილება № 2.

მომუშავე ძალების აღრიცხვის და განაწილების შესახებ.

1. არსებულ შრომის ბირჟების ნაცვლად არსდება ქვეგანყოფილებანი მომუშავე ძალების აღრიცხვის და განაწილებისა ადგილობრივად შრომის განყოფილებებთან და მათი მოქმედების ხელმძღვანელი სამუშაო ძალების აღრიცხვის და მათი განაწილების განყოფილება შრომის სახალხო კომისარიატთან.

2. ყველა მუშების და მოსამსახურეების დასაქირავებლათ დაწესებული კერძო ბიუროები და კონტორები ამ დადგენილების გამოქვეყნებიდან ითვლებიან გაუქმებულათ და ვალდებულნი არიან სამი დღის განმავლობაში ჩააბარონ ყველა თავისი საქმეები და საბუთები მომუშავე ძალების აღრიცხვის და მათი განაწილების ადგილობრივ ქვეგანყოფილებას.

3. სამსახურში მიღება ყველა დაწესებულებებში და წარმოებებში როგორც საზოგადოებრივში, სახელმწიფოებრივში ისე კერძოში, ხდება მხოლოდ მომუშავე ძალების აღრიცხვის და განაწილების ქვეგანყოფილების მიერ ამ განყოფილებაში ჩაწერილ მუშა-მოსამსახურეების რიცხვიდან.

4. საბჭოთა დაწესებულებათ უფლება ეძლევათ მომუშავე ძალების აღრიცხვის და მათი განაწილების განყოფილების გარეშე მიიღონ მოსამსახურენი მხოლოდ საპასუხისმგებლო ადგილებზე. მაგალითათ: განყოფილების ან ქვეგანყოფილების გამგის ან მის თანაშემწის ადგილზე, განყოფილების საქმეთა მმართველის ან მდივნის თანამდებობაზე, მაგრამ მათი საბოლოოდ თანამდებობაზე მიღებამდე უნდა მიღებულ იქნას, ცნობა სამუშაო ძალების და მათი განაწილების განყოფილებიდან, რომ ისინი ჩარიცხულნი არიან ამ განყოფილებაში.

5. რაც შეეხება იმ თანამდებობებს, რომელნიც [illegible] სპეციალურ

ცოდნას, როგორც მაგ.: ინსტრუქტორების, სპეციალისტების, ინჟინრების, სტატისტიკოსების, ექიმების, აგრონომების, უფროს ბუხგალტერების და სხვების, საბჭოთა დაწესებულებათ შეძლება ეძლევათ მიიღონ ასეთ თანამდებობაზე მომუშავე ძალების და მათი განაწილების განყოფილების საშუალებით რიგ გარეშე.

6. თუ სამუშაოს ხანგრძლივი ხასიათი აქვს, დაბოლოვებით ასეთ ადგილზე მიღების წინ უძლვის გამოცდა არა უმეტეს ექვსი დღის ვადით მუშებისათვის, ნაკლებ საპასუხისმგებლო ადგილზე—ერთი თვის ვადით.

7. გამოცდების შედეგის, ადგილზე მიღების ან არ დაშვების შესახებ დაწესებულებიდან ეგზავნება ცნობა მომუშავე ძალების აღრიცხვის და მათი განაწილების განყოფილების არა უგვიანეს სამი დღისა მე-6 მუხ. აღნიშნულ გამოცდების ვადის შემდეგ.

8. გადაყვანა ერთ დაწესებულებიდან, ან წარმოებიდან მე-2-ში, რომელნიც მდებარეობენ იმავე ან სხვადასხვა ადგილზე ხდება შესაფერისი მმართველობითი ორგანოსაგან მომუშავე ძალების აღრიცხვის განყოფილების დასტურით.

სახალხო შრომის კომისარი **დუმბაძე.**

ბეჭვდითი ნაწარმოების რეგისტრაცია.

განათლების სახალხო კომ. აცხადებს, რომ, რადგანაც 16 მარტის 1919 წ. კანონი, განათლების სამინისტროში ბეჭვდითი ნაწარმოების წარდგენის შესახებ არ გაუქმებულა, წინადადება ეძლევა წარმოდგენილ იქნას, ზემოაღნიშნულ კანონის თანახმად განათლების სახალ. კომ. ყველა ბეჭვდითი ნაწარმოები, როგორც დღემდე გამოსული, აგრეთვე, რომელიც შემდეგ გამოვა, 14 ცალი, რომელზედაც უნდა იყოს გამოცემული. ეს გამოცემანი საჭიროა უნივერსიტეტისთვის, მუზეუმისთვის და სხ.

ნედლი მასალის აღრიცხვა.

მეურნეობის უმაღლესმა სახალხო საბჭომ გამოსცა შემდეგი ბრძანება: ბამბის, მატყლის, აბრეშუმის, და ყოველ ნაირ ნართის საწყობის ყველა მეპატრონემ სამი დღის ვადაში, დღიდან ამ ბრძანების გამოქვეყნებისა, უნდა განაცხადონ რაოდენობა და ადგილმდებარეობა ყველა ზემოჩამოთვლილ საგნების საწყობებისა უმაღლეს სამეურნეო სახალხო საბჭოს საფეიქრო განყოფილებაში (პუშკინის ქ. № 3) 9—3 ს., რომ მიღებულ იქნან აღრიცხვაზე. ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებს, დაისჯება რევოლიუციონურ დროის კანონების მთელი სიმკაცრით.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის სალიკვიდაციო განყოფილება საყოველთაოდ აცხადებს, რომ ს. ს. ს. რ. რევკომის 1921 წლის 17 მარტის დეკრეტის განსამარტებლათ იუსტიციის სახალხო კომისარის მიერ გაცემულ განკარგულების თანახმად, ყველა გაუქმებულ სასამართლო დაწესებულებათა: საქართველოს სენატის, თბილისის სასამართლო პალატის და სამხედრო სასამართლოს საქმეებზე, რომელნიც განსახილველი იყო ამ დაწესებულებების მიერ საკასაციო, საპელაციო, საადმინისტრაციო და სადისციპლინო წესით, წარმოება შეჩერებულია ამა წლის 21 მარტიდან, და რომ ამასთანავე იმავე დღიდან ჩერდება ვადის მსვლელობა ამ საქმეებზე.

ქრონიკა

ოზურგეთის მაზრის სკოლების რევიზია. თანახმად სახალხო განათლების კომისარიატის განკარგულებისა, ოზურგეთის მაზრის სკოლების რევიზორად იგზავნება ქართველი მწერალი და მასწავლებელი **იაკობ ცინცაძე.**—ი. ცინცაძეს ევალება შეისწავლოს დასახელებულ მაზრის სკოლათა აწლანდელი მდგომარეობა და წარუდგინოს კომისარიატს დაწვრილებითი წერილობითი მოხსენება.

სოციალური უზრუნველყოფა. ქალაქის რევკომის სხდომაზე 24 მარტს განხილულ იქმნა მოხსენება სოციალურ უზრუნველყოფის შესახებ, საიდანაც აღმოჩნდა, რომ სოციალურ უზრუნველყოფის აპარატი უკვე მოწყობილია. აღწერილია ბრმები, დასახიჩრებულნი, ინვალიდები, ობლები და კონტრ-რევოლიუციის მსხვერპლნი. ყველა ამათ ეძლევათ დახმარება სხვადასხვა სახით. შემდეგ სოციალურმა უზრუნველყოფამ მიიღო თავის გამგებლობაში თბილისში არსებული საქველმოქმედო დაწესებულებანი, თავშესაფრები, საინვალიდო სახლები და სკოლები ბრმებისთვის. სოციალურ უზრუნველყოფის გავლენის გარეშე დარჩნენ „ევანგელიკო-ლიუტერანთა" საზოგადოება, ქართული საქველმოქმედო საზოგადოება, საზოგადოება ბავშთა და დედათა დაცვისა და ავჭალის ახალშენი. სოციალურ უზრუნველყოფის მოქმედება სწარმოებს ჯერ-ჯერობით ქალაქის მასშტაბით.

◆ **საექიმო განათლების რეორგანიზაცია.** ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი იმუშავებს საექიმო ფაკულტეტის რეორგანიზაციის პროექტს. ექიმმა შამშინოვმა პროექტის გამო წარადგინა მოხსენება, რომ საექიმო ფაკულტეტზე შემოღებულ იქმნას საგნობრივი სისტემა და მოხდეს მილიტარიზაცია ფაკულტეტისა სამხედრო დისციპლინის საფუძვლებზე.

◆ **ამხ. ქავთარაძის დანიშვნა.** საქართველოს რევკომის დადგენილებით, ამხ. ს. ქავთარაძე დანიშნულია რევკომის საგანგებო რწმუნებულათ ბათომში.

◆ **სწორი ინფორმაცია.** გრუსტას საინფორმაციო სექციამ ყველა სახალხო კომისარიატებს და სხვა საბჭოთა დაწესებულებებს მიჰმართა შემდეგი განცხადებით: გრუსტას საინფორმაციო სექცია სთხოვს საბჭოთა ყველა დაწესებულებებს და სახალხო კომისარიატებს მოქალაქეთათვის სწორედ და თავის დროზე მიწოდებისათვის, ყველა საინფორმაციო მასალების, როგორც სხდომების ოქმები, პროექტები, ბრძანებანი და განკარგულებანი და სხვადასხვა, გამოიგზავნოს ხოლმე საინფორმაციო სექციაში გამოსაქვეყნებლათ პრესის ყველა ორგანოებში, პლაკატებში და ბიულეტენებში ყველა ენებზე. (მისამართი: რუსთაველის პრ., 24. ტელ.—15—48).

◆ **მუსულმანთა მიტინგი-კონცერტი.** აზერბეიჯანის ს. ს. რ. სახალხო სამხ. და ზღვათა კომისარიატის განსაკუთრებულ დანიშნულების რაზმმა 25 მარტს მეიდანზე მოაწყო გრანდიოზული მიტინგი-კონცერტი. ორატორების სიტყვებს ძლიერი ტაშით აჯილდოვებდნენ. ეს აღფრთოვანება აიხსნება მით, რომ თბილისის მუსულმანებმა პირველათ მოისმინეს კომუნისტ-ორატორების სიტყვა დედა-ენაზე. მიტინგზე გამოტანილ იქმნა რეზოლიუცია, სადაც მიტინგი მიესალმება წითელ ლაშქარს, რუსეთს და ადერბეიჯანს, რომლებიც არიან მუშათა ინტერესების მძლავრი დამცველები. რეზოლიუცია აგრეთვე მიესალმება კომუნისტურ პარტიას და მის ხელმძღვანელებს ტროცკის, ლენინს, მახარაძეს, ცხაკაიას, ნარიმანოვს და კარაევს.

◆ **ქართველ ხელოვანთა კრება.** დღეს, 29 მარტს, ქართველ ხელოვანთა სასახლეში დღის 4 საათზე დანიშნულია ქართველ ხელოვანთა საერთო კრება.

◆ **შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში.** თბილისის გუბერნიის მილიციის უფროსის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლათ დაინიშნა ამხ. იობიძე.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის კავშირი რუსეთთან.** მარტის 25 ს კავკავიდან დაბრუნდა რუსეთთან ფოსტა ტელეგრაფის დამოკიდებულების საკითხის მოსაწესრიგებლათ წასული ფოსტა ტელეგრაფის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. კამარაული. მისი სიტყვით კავშირი რუსეთთან აღდგენილია საბოლოოთ. ფოსტა გაიგზავნება საქართველოს სამხედრო გზით კავკავში ცხენებით, სადაც მოხდება განაწილება და გაგზავნა რუსეთის ყველა ქალაქებსა და ადგილებში. ჯერ-ჯერობით მიიღება მხოლოდ უბრალო კორესპონდენცია.

◆ **საფოსტო საქმის რეფორმა.** საფოსტო უწყებაში ეხლა სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა და ახლო მომავალში მოსალოდნელია დიდი რეფორმები. განზრახულია საფოსტო კორესპოდენციის გასაგზავნი ფასის მოსპობა. გამოცემულ იქნება დეკრეტი, რომელიც საბოლოოთ განსაზღვრავს ფოსტა-ტელეგრაფის უწყების სტრუქტურას.

◆ **საფოსტო მატარებლები.** საფოსტო მატარებლები ჯერ კიდევ არ დადიან ნორმალურად, რადგანაც თბილისში ცოტა საფოსტო ვაგონებია დარჩენილი. უმეტესი მათგანი ბათომშია და არც არის საშუალება მათი საჩქაროთ ჩამოტანისა თბილისში, სანამ არ აღადგენენ მთლათ რკინის გზას. მომავალში განზრახულია ყოველ დღე გაიგზავნოს ხოლმე 8 წყვილი საფოსტო მატარებელი.

◆ **პირველი შაბათობა.** აპრილის 2-ს, შაბათს, თბილისში გაიმართება პირველი შაბათობა საზოგადოებისთვის სასარგებლო სასწრაფო მუშაობათა შესასრულებლათ. განზრახულია შემდეგი პროგრამა: ქალაქის გენერალური გასუფთავება ტალახისა და ნაგავისაგან და განსაკუთრებით მტკვრის ნაპირების გასუფთავება. შემდეგ განზრახულია ქუჩის მცენარეების გა[illegible] ბაღების დაბარვა, [illegible] გამზადება ქალაქის ქვაფენილის შესაკეთებლათ, ქალაქის განაპირა ადგილებში ორმოების მოთხრა ელექტრონის განათებისთვის ბოძების დასადგმათ და სხვა.

— **ქალაქის რევკომის კომუნალურ განყოფილებაში.** განყოფილების დადგენილებით ყოფილი ქალაქის გამგეობის ყველა განყოფილებაში გაუქმებულია პოლიტიკურ კომისრების თანამდებობები.

◆ **საკანცელარიო და სხვა მასალათა მომარაგება რესპუბლიკის დაწესებულებათათვის.** სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა რესპუბლიკის საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებებს, წარმოადგინონ მოკლე ვადაში ხარჯთ-აღრიცხვა მათთვის მიუცილებელ საკანცელარიო და სხვა მასალები და ნივთებისა. ხარჯთ-აღრიცხვა ნავარაუდევი უნდა იქმნეს მკათათვის 1-მდე.

◆ **ა. ლ. შეინმანის გამგზავრება.** მარტის 26 ს მოსკოვში გაემგზავრა რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოში ა ხ შეინმანი.

◆ **თფილისის სამაზრო რევკომი.** სამაზრო რევკომები შეუდგა სოფლის რევკომების ორგანიზაციას.

◆ **საქონლის გატანა.** საქართველოს რკინის გზის უფროსმა დაუგზავნა სადგურების უფროსთ შემდეგი დეპეშა: რადგანაც საზღვრებზე არ არსებობს საბაჟოები, თანახმათ საქართველოს რევკომის ბრძანებისა, წინადადება გეძლევათ საქართველოს საზღვრებიდან საზღვარგარეთ არავითარი საქონელი არ გაიგზავნოს რევკომის განსაკუთრებულ ნებადაურთველათ.

◆ **მატარებლის მიმოსვლა.** 25 მარტიდან სამ დღეში ერთხელ თფილისიდან თელავამდე დანიშნულია სახალხო მატარებელი № 180. თელავიდან მატარებელი დაბრუნდება მეორე დღეს. ბილეთები იყიდება, ბარგი და საქონელი მიიღება არსებულ ტარიფით. მატარებელი გავა თფილისიდან დილის 9 საათზე, თელავიდან გამოვა დილის 8 საათზე.

მკითხველის წერილები

ახლო მომავალი.

თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოება აღმოცენდა ფეოდალიზმის ნანგრევებზე.

„ფეოდალიზმთან შედარებით კაპიტალიზმის ხანა იყო მსოფლიო—ისტორიული ნაბიჯი წინ „თავისუფლების", „თა-

მოხეტიალე მუსიკოსის ნაწერებიდან.

(გაგრძელება*)

უდანაშაულოთ დასჯილნი

ანაგაში ამინდებმა ცუდი პირი ქნეს. დრო გამოშვებით თითქმის მთელი კვირის განმავლობაში თოვლდა. უკვე გავათავე ჩემი საქმე, დრო იყო დაბრუნებისა, მაგრამ რით და როგორ მომეხერხებინა? გადავსწყვიტე მომეცადნა ამინდისათვის.

მართალია, ამ გვარ ამინდში სოფელში ადამიანს გარეთ არ გამოესვლება, მაგრამ როგორც მოხეტიალეს, გული არ მიძლებდა და, თუ ხშირ ხშირათ არა, დღეში ერთი ორჯერ მაინც გამოვხედავდი ხოლმე სოფელს. სოფელი კი სდუმდა.

— არ ვიცით, კაცო! არ ვიცით რა ვქნათ! რით ვუშველოთ საცოდავ თავებს —საცოდავათ გულ ხელ დაკრეფილმა, ცრემლების ღაპაღუპით ესე შემომჩივლა ერთმა გლეხმა.

— რაშია საქმე? ვინ შეგაწუხათ? მე ხომ რევკომი არა ვარ, აბა რა გიშველოთ?

— ჩვენი ღმერთიცა და ჩვენი რევკომიც შენა ხარ. აქ. შენს მეტი აბა ჩვენ ვინა გვყავს ჩვენ ჯერ რევკომიც არ ამოგვირჩევია, ესენი თავიანთ ნებით წამოსკუპდნენ, მივმართე ჩემი გაჭირვებითაც, მაგრამ ყურებიც არ ჩამიიბერტყეს. ხალხმა თქვენთან მომასწავლა. მიშველე რამე, შენი ჭირიმე.

— რა გაგიჭირდა?

— რაღა რა გამიჭირდა, შენი ჭირიმე, რომელი ერთი ჩამოვთვალო? ერთი პატარა ოთახი მიგდია, პატარა ცუცქნელა. შიგა ვცხოვრობდი ჩემი სამი ქალით, ორი გასათხოვარი მყავს. აქ ერთი ღრმად და მნიშვნელობით ამოიოხრა მოხუცმა. ისე ღრმად, თითქოს გულ-ღვიძლი თან ამოჰყვაო—იმ, ჩემი ცოდვით სავსეებმა, მოლალეს და რვა სული ერთად არ ჩამისახლეს?!. ქალები გავლალ-გამოვლალე, მაგრამ მაინც ვერა ვთავსდებით. მიშველე რამე, შენი კვნესამე, გადამისახლე ტუმრები. ხევ გადაღმა სახლები სულ ცარიელია. ორ ოთახიანები, სამი და ოთხიანებიც ბევრია იქით, რატომ იქით არა თავსდებიან?

— შენთან ვინ მოიყვანა?

— აბა რა ვიცი, ჩვენები გამოჰგზავნიდნენ, ისინი აბინავებენ. ჩვენებში კი მტერი ძაან ბევრი მყავს. მიმტრეს, შენი ჭირიმე, მიმტერეს.

— წამო ჩემთან—გაუძეხი წინ მოხუცს.

გლეხი ანაგაში დაბანაკებულ საბჭოთა ჯარის კომანდირთან მივიყვანე.

კომანდირმა მომჩივარი დიდის გულის ყურით მოისმინა.

მოხუცი შეშინოდა, მე უთარგმნიდი, კომანდირს კიდევ უსიამოვნო განცდებით ათამაშებული გამომეტყველება ზიზღით უთრთოდა და ელმიპებოდა.

— ეგ უსინდისოები, ეგენი! ემ საათში ყველას დავატუსაღებ, ვინც რევკომში მოკალათებულან! რამდენი ერთი მოვითმინო?—გაანჩხლდა კომანდირი. —წაიღეთ ეს ქაღალდი და ჩემ სალდათებს გადაეცით, იმ წამსვე დასცლიან ოთახს.

— გმადლობთ, შენი ჭირიმე, გმადლობთ!

— აბა, იმ ღამეს კი ვერა უთხარი რა, არ შევაწუხე და მეორე დღეს კი რა წამს უჩვენე ქაღალდი, იმ წამსვე დასცალეს ოთახი—მომახარა მეორე დღეს მოხუცმა.

შურის ძიება უმთავრესი ღებულება იყო ანაგის „სამოზვანცებისა". ხალხი ამას ჰხედავდა, ჰღელავდა და ჩუმათ კი იყო, შიშით ხმა ვის შეეძლო ამოეღო?

წათამამებული ვაჟბატონებიც ჰყვლეფავდნენ და აწიოკებდნენ მშვიდ მცხოვრებთ.

ზემოხსენებულმა კომანდირმა მითხრა ერთხელ შემდეგი ამბავი:

— ჩვენ სახლის პატრონს ერთ საჟნამდის შეშა ექნება გარეთ, კალოზე დადგმული. ერთ მშვენიერ დღეს პატრონის დაუკითხავათ მიუგორებიათ ურემი „რევკომის" წევრებს და უნდა შეშა წაიღონ. პატრონი მოვარდა ჩემთან გულ გახეთქილი:

— არყის გამოსახდელად ცოტა შეშა მეყარაო, აქედან დღეში სამჯერ შენც გინთებდი ფეჩს და მეც ცალკე ვითბობდი ოთახსო. ეხლა კი დაუდვიათ და მიაქვთო.

გავეცი განკარგულება, დავიბარე და უბრძანე,—დადებული ურემი ჩემთან მოეტანათ ფეჩის ასანთებათ, თითონ კი სადმე ტყიდან, ან ვისაც მეტი ჰქონდა, იქიდან წამოეღოთ. ჩემი თხოვნა არ შეასრულეს, შეშა არ მოიტანეს, თუმცა ურემი იქავ დაეცალათ, და შეშა თავის ადგილას ისევ დაეწყოთ.

ეს ამბავი მესამე დღეს შეშის პატრონმა დააბოლოვა:

— სწორეთ ეგ იყო მიზეზი გუშინ. რომ ბევრარა გამომაყვანინეს. ვიღაცა ქალი აიყვანეს სიღნაღში და საღამოთი ისევ უკან ჩამოიყვანეს. აქ, თუ შურის ძიება არ იყო, რა საჭიროება მოითხოვდა ერთი სულისათვის ურმის შებმას? ცხენს ვერ უშოვნიდნენ? ან, ნუ თუ იმ ქალის სიღნაღში აგზავნ-ჩამოგზავნა სახელმწიფო ვალდებულებას წარმოადგენდა? მაგრამ, ეჰ! რა უნდა გელაპარაკო ძმაო, რა? სისხლი ყელში მებჯინება აი, ყელში: მეურმეც კინაღამ ავად არ გაიხდა,—სამი საათი თოვლში მდგარიყო გაჩერებული. აბა, ეს სამართალია?.. სამართალი კი არა, შურის ძიებაა და ისიც პირადი, კერძო.

რასაკვირველია, როგორც ყველგან, აქაც ერივნენ ისეთი პირნიც, რომლებიც მთელი თავისი არსებით და შთაგონებით ეწინააღმდეგებოდნენ ხალხის ამწიოკებელთ.

ესეთი იყო მაგალითად მილიციის უფროსი იოსებ მჭედლიშვილი, რომელსაც ამ ჟამად სოფელ ივანოვკაში რევკომის თავმჯდომარის ადგილი უჭირავს, აი რა მიამბო ამ მჭედლიშვილმა:

— კაცო, ეს ჩვენებური „სამოზვანცები" რას შვრებოდნენ? მეც აქ ვმსახურობდი, მაგათთან ერთად. ვიყავ მილიციის უფროსი, მაგრამ, როდესაც დავატყე საქმე სხვანაირად იყო, გადავდექ თანამდებობიდან და გამოვაცილე თავი. დღეში თითო ძროხასა ჰკლავდნენ და ისიც საუკეთესოს. ხორცს თვითონ ინაწილებდნენ, ზოგს სახლში გზავნიდნენ, ზოგსაც იქავე ვეება ქვაბში ხარშავდნენ.

ვეღარ მოვუთმინე ერთხელ და ავდექ და უთხარი:

— რას შვრებით? სად გაგონილა ხალხის სიმდიდრის ასე გადაყრა? დღეში თითო ძროხა, მაშასადამე წელიწადში 336 სული. აქვს სოფელს ამდენი შეძლება?.. შეუძლიან სოფელს თქვენი შენახვა?

— რაო? როგორ თუ შენ ეგ გაგვიბედეო! წამოხტნენ, ამყარეს იარაღი და დამატუსაღეს- ხორცს სწიწკნიდნენ,—ძვლებს მე მაყრიდნენ,—ესეც შენ გამოხარიო.

— შენ ჩვენი ამხანაგი გვეგონეო და, თუ ესეთი არა ხარ, გასწი, თავი დაგვანებეო.

— ავდექი და მეც წამოვედი...ი,—აბა, რას ვიზამდი?—შემომჩივლა იოსებმა.

ლაგოდეხის რევკომის თავმჯდომარე, ლადო ხირსელი თურმე შემთხვევით გადმოსულა თავის სოფელში, ანაგაში.

ხალხს ამისთვისაც შეუჩივლია დუხჭირვარამი და ლადო [illegible] დასჯდომია თავზე მოქეიფე კამპანიას.

— თქვე ასეთებო, თქვე ისეთებო, ეს რა ამბებს სჩადიხართ?

კვირაცხოვლობა გაქვთ, თუ სხვა რაიმე დღესასწაული?!

არყის ქვაბით ძროხა წამოგიდგამთ, სად გაგონილა ესეთი უგუნურობა.

ლადოს მთელი სოფელი უგდებდა ყურს და სიხარულისაგან ცას ეწეოდა.

— მადლობა ღმერთს, ესლა კი ღმერთი ჩვენკენ ატიასო.

„სამოზვანცებს" კი სწყენოდათ, რა უფლება ჰქონდა ვიღაც ხირსელს ხალხში ჩვენი ესეთი შეურაცყოფისაო.

— უნდა გეტაცნათ ხელი და დაგეტუსაღებინათ ის ვიღაც ხირსელი ბრძანებულაო ერთხელ მისცა შენიშვნა სიღნაღიდან ჩამოსულმა თავის ქვეშევრდომებს.

ამის შემდეგ მეც ვერიდებოდი, მეც მეშინოდა თავაშვებულთა თავდალმა თარეშის. მოვშორდი, დავიწყე შორი-ახლოს სიარული და თვალთვალობა. არც ერთი სახლი უყურადღებოდ არა მრჩებოდა, ვერც ერთი გლეხი შეუმჩნევლად ჩემ წინ ვერ გაივლიდა.

სოფელი კი? სოფელი სდუმდა, სოფელი სტიროდა, თვით ადგილობრივ სოფლელ „სამოზვანცების" მიერ შეწუხებული.

ამ სურათებს რომ ვუყურებდი, ამ ამბებს რომ ვუსმენდი, თვალწინ მიდგებოდა თბილისის ამბები. იქაც ხომ ესეთი ფაქტები მოხდა? ავიღოთ მაგალითად ის ფაქტი, რომელსაც მე ჩემის თვალით ზედ თავზე დავცქეროდი.

ბოლშევიკების შემოსვლამდე, ესე ე. 9 საათით ადრე მეხუთე ათასეულის კაზარმიდან, რომლის ახლოსაც იმ ღამეს მეძინა, რაღაც არაჩვეულებრივი ხმაურობა შემომესმა ოთახში. გამოვხედე ხმაურობას მხოლოდ გათენებისას და თქვენ მტერს, რაც მე სანახაობა წარმომიდგა თვალწინ. მთელი ამ უბნის ნაძირალა ბრბო იყო და ეს კაზარმა. როგორც ჭიანჭველა ისე დახვევიყო ეს ამოდენა მძარცველები ამ ვეება შენობას.

შეშა, ნავთი, შაქარი, ფქვილი, წიგნები, ხატები, [illegible], პულემიოტები, ბომბები, ტელეფონის აპარატები, მავთულები, მაგიდები, სკამები, ბოჩკები, ფეჩები, შუშები და რა ვიცი კიდევ რამდენი რამ გაუტანელი დარჩენიყოთ ბატონ მენშევიკებს. მხოლოდ წასვლის დროს კი ეთქვათ: აბა, ჩვენ მივდივართ და ეხლა თქვენ იცით, შიგ არაფერი არ დატოვოთო.

---

*) იხილეთ წინა ნომრების 17, 18, 19 და 20.

ნასწორობის“ და „დემოკრატიის“ გზაზე. მიუხედავად ამისა კაპიტალიზმში იყო და არის დაქირავებული მონობა, მილიონ გლეხთა და მუშათა თანამედროვე კაპიტალისტთა მცირე ჯგუფისათვის დამონავება“ (ლენინი) ისტორიული ევოლიუცია ულმობელ აუცილებლობით მოითხოვს კაპიტალისტურ საზოგადოების სოციალისტურით შეცვლას, ასეთია საკაცობრიო ვითარების ფაქტორთა ლოლიკა. ეს დიადი მსოფლიო მნიშვნელობის ოპერაცია დაიწყო რუსეთში და მოედო მთელ აღმოსავლეთს. რამ გამოიწვია ეს მოვლენა? ტეხნიკის საოცარი პროგრესი საზოგადოდ, კაპიტალისა და ბანკების გიგანტური ზრდა, განვითარებული საწარმოო პირობები და გათვითცნობიერებული პროლეტარიატი იმის მაჩვენებელია, რომ „კაპიტალიზმი მომწიფდა და გადამწიფდა“, რომ „ის დღეს უკვე არის საკაცობრიო წინსვლის უდიდესი დამაბრკოლებელი მიზეზი“ (ლენინი).

კაპიტალისტური ქვეყნების მიერ კოლონიალური პოლიტიკის წარმოება, რომელიც გამოწვეულია ფართე ბაზრისა და ნედლი მასალით მდიდარ ადგილების შეძენის სურვილით და ამ ნიადაგზე აღმოცენებული ნაციონალურ კაპიტალთა შორის კონკურენციით, ბუნებრივ აუცილებლობით იწვევენ ახალ და ახალ იმპერიალისტურ ომებს. ომი კარდინალურად სცვლის არსებულ მდგომარეობას, იწვევს მრავალ მნიშვნელოვან შედეგებს, სვამს ახალ ამოცანებს და პრობლემებს, რომლებიც მოითხოვენ სწრაფ გადაწყვეტას.

კაპიტალისტურ საზოგადოებას კი ეს არ შეუძლია. ამაშია თანამედროვე კაპიტალიზმის ტრაგიზმი. კაპიტალისტური მსოფლიო დგას ასეთ ამოცანების წინაშე და იარაღით ლამობს მათ გადაწყვეტას, ამას ის ვერ შესძლებს, ეს იქნება მხოლოდ მისი უკანასკნელი ამოხვნეშა, უკანასკნელი „ბრძოლა არსებობისათვის“. შექმნილი აუტანელი მდგომარეობის გამოსწორება, ფინანსიურ და სამრეწველო კრახის ლიკვიდაცია, საერთაშორისო სოლიდარობის და ყარება მხოლოდ სოციალურ რევოლიუციას შეუძლია. კაცობრიობა უკვე შემდგარია გზაზედ სოციალიზმისაკენ. პროლეტარიატის დიქტატურა, და საბჭოთა რევოლიუციონური ძალა-უფლება მაქსიმალურის სისწრაფით მიაქანებს მას აღთქმის ქვეყნისაკენ. „იმპერიალისტურ—კაპიტალისტურ მსოფლიოს სცვლის საბჭოთა მსოფლიო, რომელიც „ძალაუფლებას ანიჭებს მშრომელთ და მხოლოდ მშრომელთ.

საერთაშორისო საბჭოთა რესპუბლიკის გამარჯვება უზრუნველყოფილიაო ამბობს პროლეტარული რევოლიუციის ბელადი ლენინი.

ახლო მომავალი გვიმზადებს დიდ შესანიშნავ ამბებს, მომაკვდავი იმპერიალიზმი მთრთოლვარე ხმით აღიარებს თავის კრახს; ლოიდ ჯორჯი საქვეყნოდ აცხადებს, რომ „მსოფლიო ირყევა და ეს რყევა არის გიგანტური“-ო საფრანგეთის მუშათა კლასი უკვე აქტივობას იჩენს; მსოფლიო პროლეტარიატი ბობოქრობს: მისი დაწყნარება კაპიტალის დამქაშებს არ ძალუძთ; ისტორიის ეკრანზედ უკვე სჩანან ძველი ქვეყნის ღრმა სამარენი. 1921 წელი საერთაშორისო საბჭოთა ცხოვრების პროლოგია; გაუმარჯოს ბრწყინვალე ახლო მომავალს, რომელსაც მოაქვს შრომის და სამართლიანობის სუფევა.

ვინ—კანი.

შორს შურისძიება!

დაინგრა მენშევიკების „დემოკრატიზმზე“ აგებული ხუხულა. დღეს მის ნანგრევებზე ფრიალებს წითელი დროშა ახალი შენების, რომელსაც საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა ქვია. მართალია, მენშევიკების სამი წლის ნაცოდვილევი დაინგრა, მენშევიზმი იდეურად გაკოტრდა და ის ახლო მომავალში საგინებელ სიტყვად გადაიქცევა, მაგრამ თვით მენშევიკები ცოცხლობენ, ფიზიკურად არსებობენ.

ჩვენ ისინი არ დაგვივიწყებია, როგორც ზოგიერთი მათგანი ფიქრობდა.

ისინი თავისუფლად დადიან, დასეირნობენ. ზოგნი მათგანი საბჭოთა დაწესებულებებშიაც მოეწყვნენ. ეს გარემოება კი ზოგიერთ ჩვენს ამხანაგებს შორის განცვიფრებას იწვევს.

როგორ თუ ჩვენ მათ სამაგიერო არ გადაუხადოთ? ჩვენ ხომ ისინი გვდევნიდნენ, გვპატიმრებდნენ, ადგილებიდან გვითხოვდნენ და ჩვენ კი მათ ლმობიერათ მოვექცეთ? გაიგონებთ მათგან. დიახ ისინი მართალი არიან ერთი მხრით, რომელი კომუნისტია, რომ მენშევიკების რეპრესიები არ ეგემებოს? განა ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ გვდევნიდნენ, გვატუსაღებდნენ, გვხვრეტდნენ და გვაწიოკებდნენ ოჯახებს?

მიუხედავათ ამისა ჩვენ მათ არ გადაუხდით სამაგიეროს, არ მოვექცევით ისე, როგორც ჩვენ გვექცეოდნენ.

და ამას ვიზამთ არა იმიტომ, რომ ვეცოდებოდეთ მათ. სრულიადაც არა, რევოლიუციამ შეცოდება არ იცის.

ჩვენ მათ არ გადაუხდით სამაგიეროს იმიტომ, რომ ჩვენი ინტერესი ამას არ მოითხოვს ამჟამად.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული იმაში, რომ ახლო მომავალში ის მუშები და გლეხები, რომლებიც მენშევიკების მიერ ათასგვარი ჭორებით, ლანძღვაგინებით და პროვოკაციებით იყვენ ჩვენი პარტიისა და საბჭოთა რუსეთის მიმართ გაბრუებულნი, ჩვენთან მოვლენ და საერთო ძალ-ღონით განამტკიცებენ საბჭოთა წყობილებას. ისინი გაიგებენ და მიხვდებიან ჩვენს სიმართლეს და დარწმუნდებიან, თუ როგორ ატყუებდნენ მათ ამ სამი წლის განმავლობაში მენშევიკები, ლოზუნგით „დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ“.

რაც შეეხება მენშევიკურ ინტელიგენციას, რომელმაც ვერ მოასწრო ჟორდანია-ჯუღელ-რამიშვილებს გადევნებოდა უკან. ჩვენ მისი არ გვეშინია, ერთი მისი ნაწილი რუსეთშია, ამ ჯგუფიდან უკვე მოდიან ჩვენთან და სამსახურს გვთხოვენ, ჩვენ მათ ვიღებთ სამსახურში—სპეკულიანტებს მოვიხმართ სპეციალურ დარგებში, ისინი ჩვენთვის ამჟამად საჭირონი არიან.

რაც შეეხება მეორე ნაწილს ჩვენი ინტელიგენციისა, რომელნიც ჯაშუშობის გზას დაადგება და ჩვენ დახმარების მაგიერ ხელს შეგვიშლის მუშაობაში, მის წინააღმდეგ, რასაკვირველია, სასტიკი ზომები იქნება მიღებული.

ამ ჯგუფიდან ალბათ გამოვლენ „თავზე ხელ აღებულნი“ და ეცდებიან შეთქმულების მოწყობას. ისინი შეეცდებიან მოუმზადონ „ბათომიდან საქართველოზე შემოტევის“ ნიადაგი იმ ავანტიურისტებს და საქართველოს მშრომელი ხალხის მოღალატეებს, რომელნიც ნაძარცვ-ნადავლით ქურდულათ ევროპისკენ გაიპარენ.

ისინი ალბათ ფიქრობენ მოაწყონ მუშათა და გლეხთა მთავრობის წინააღმდეგ შურისმაძიებელთა რაზმები? (იხ. ბათომში გამოცემული „ერთობა“, წერილი დ. თურდოსპირელისა), ჩვენ, რასაკვირველია, დასაწყისშივე მოვგუდავთ ამ ცდას და არ მივსცემთ მათ გასაქანს.

ეს საჭირო და აუცილებელი იქნება, რომ დაცულ იქნას მშრომელი ხალხის მიერ სისხლით მოპოებული წყობილება. მაგრამ ეს იქნება მათი და არა ჩვენი.

დღეს კი ისინი სრული თავისუფლებით სარგებლობენ, თუ როგორ გამოიყენებენ ამ თავისუფლებას—ამას დაგვანახვებს მომავალი.

ამხანაგებმა უნდა შეიგნონ ეს და უკუაგდონ პირადი „ანგარიშების“ გასწორება მათთან.

ჩვენ არა ვართ შურისმაძიებელნი, მარა ჩვენ მიუზღავთ დამსახურებულს ვისთვისაც ეს საჭირო იქნება...

სან. ქურიძე

პარტიული ცხოვრება

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტის სამხედრო განყოფილების მოწყობა.

ს. კ. პ. კომიტეტის დადგენილებით, თბილისში მოწყობილია სამხედრო განყოფილება, რომელსაც ემორჩილება ყველა რაიონი სამხედრო საქმეების შესახებ. სამხედრო განყოფილება განაგებს ყველა პარტიულ ამხანაგების სამხედრო ვარჯიშობას და აწყობს განსაკუთრებულ დანიშნულების რაზმებს. სამხედრო განყოფილება ემორჩილება თბილისის კომიტეტს, რომლის მოთხოვნილებითაც ახდენს ყველა თავის წევრების მობილიზაციას. სამხედრო განყოფილების მეთაურად დანიშნულია ამხ. დიდიშვილი, მის თანაშემწეთ ამხ. სააკიანი, ინსტრუქტორათ ამხ. ძაგანია. რაიონების უფროსები და მათი თანაშემწენი ინიშნებიან სამხედრო განყოფილების მიერ რაიონულ კომიტეტებთან შეთანხმებით.

მუშათა ცხოვრება.

მიტინგი.

24 მარტს ტრამვაის მოსამსახურეთა თეატრში სააგიტაციო მატარებელმა გამართა მიტინგი, რომელმაც მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. სლავიანისა, ივანოვისა და ბუაჩიძისა თებერვლისა და ოქტომბრის რევოლიუციებისა, ინგლისთან და სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ხელშეკრულების და შრომის ფრონტის შესახებ, ჩვენ ტრამვაის პარკის მუშები და მოსამსახურენი მივესალმებით რუსეთის პროლეტარიატს, რომელმაც პირველათ აღმართა წითელი ბაირაღი რევოლიუციისა, და წითელ არმიას, მთელი მსოფლიო პროლეტარიატის განმანთავისუფლებელს ვიძლევით სიტყვის თავისუფალ მოქალაქისას ვიბრძოლოთ საბჭოთა რუსეთის და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების წითელ არმიასთან ერთად წინააღმდეგ მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიისა და ფიცსა ვდებთ ბოლომდე დავამთავროთ საქმე, დაწყებული რუსეთის პროლეტარიატის მიერ.

მასწავლებელთა პროფკავშირში.

24 მარტს არტისტიულ საზოგადოების შენობაში მოხდა კრება თბილისის მასწავლებლების პროფკავშირის წევრთა. ამხ. [illegible] მოხსენების შემდეგ მასწავლებელთა ახალ პროფკავშირის ორგანიზაციაზე მიღებულ იქმნა რეზოლიუცია საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების ყრილობის მოწვევის და კავშირის ახალ საფუძველზე ორგანიზაციისთვის ახალ დებულების შემუშავების შესახებ. შემდეგ ხელახლათ აირჩიეს გამგეობა, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: ჩიქაიძე, ხუნდაძე, წირქვაძე, გორდეზიანი, ვენტურიშვილი, შავერდოვი და ჯაფარიძე. კრებას დაესწრო 3000-ზე მეტი მასწავლებელი.

პროვინცია

მანგლისი. მანგლის[illegible] პარტიული მუშაობა [illegible] მიდის. ჯერ-ჯერობით 7 ორგანიზაციაა მოწყობილი, სადაც 200 მდე ძველი წევრები მუშაობენ. რაიონის ყველა სოფლებში იმართება მიტინგები და კრებები პარტიული ხასიათისა. კომპარტიის მანგლისის ორგანიზაციის პრეზიდიუმმა უკვე გახსნა მოზრდილთათვის სახალხო სკოლა 17 მარტს, მეცადინეობა სისტემატიურათ სწარმოებს. სოფლის რევკომები უკვე მოეწყო. რევკომებში შედიან ყველგან ძველი პარტიული ამხანაგები, რევკომის სარძეო ფერმამ თბილის გაუგზავნა წითელ ლაშქრის დაჭრილთა სასარგებლოთ პირველი ნაყოფი მისი კარაქი 1 ფუთი და ყველიც $1^1/_2$ ფუთი.

სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიტერატურის საქმე ძლიერ ცუდათ არის მოწყობილი, ვერ ვღებულობთ ჟურნალ გაზეთებს. საჭიროა ამას მიექციოს ყურადღება.

გ. ციმბირელი.

მისალმებანი.

მისალმება საქართველოს რევკომს.

რევოლიუციონური სალამი საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტს.

საქართველოს მშრომელი ხალხი უკვე ნაცადი ნიკოლოზ მეორის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რუსეთის დიდი რევოლიუციის შემდეგ დღემდი განიცდიდა ყოველგვარ სისასტიკეს მენშევიკების შემთანხმებლებისაგან, არ არის ერთი კუთხეც კი პატარა საქართველოსი, სადაც უხვად არ იყოს დანთხეული საქართველოს მუშებისა და გლეხების სისხლი. მისი იშვიათი ბრძოლის დროს საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, მუშურ-გლეხური საქართველო დღეს თავისუფალია. რუსეთის მშრომელი ხალხისაგან შემდგარი წითელი ლაშქრის დახმარებით დაამსხვრია მან საქართველოს ბურჟუაზიული მთავრობის ციხესიმაგრე და ამით უზრუნველყო თავის ნამდვილი მუშურ-გლეხური თავისუფლება.

ჩვენ ჭიათურის და მისი რაიონებიდან შეკრებილი 20 მარტს მრავალ რიცხოვანი მიტინგზე აღტაცებით ვეგებებით მესამე წითელ ინტერნაციონალის ლაშქარს.

სალამს ვუძღვნით საქართველოს რევკომს და ვსდებთ ფიცს, რომ არავითარი მსხვერპლის წინ არ შევჩერდეთ მუშურ გლეხური წესწყობილების დაცვაში.

მიტინგის თავმჯდომარე გ. ნუცუბიძე

ფოსტა

საქართველოს კომ. პარტიის თბილისის კომიტეტს, მის სარაიონო ბიუროებს რეგულიარულათ მოგვაწოდეთ ცნობები პარტიული მუშაობის შესახებ.

საქართვ. კომპარტიის ორგანიზაციებს პროვინციაში. მოგვაწოდეთ შეძლებისა დაგვარათ რეგულიარულათ ცნობები პარტიულ მუშაობის შესახებ და კორესპონდენციები პროვინციის ცხოვრებიდან.

პროფესიონალურ კავშირებს. მოგვაწოდეთ რეგულიარულათ ცნობები პროფესიონალურ ცხოვრების შესახებ.

სარედაქციო კოლეგია.

ბრ[illegible]ისაც [illegible]ს უხდოდა. შეცვივნილ იყვნენ და დეეთრიათ ვინც რამდენს მოერეოდა.

თურმე ღამის სამ საათიდან ესე ანგრევენ ხალხის სარჩოს, თურმე ხმაურობა, რომელიც ღამე მე შემომესმა იყო რახრახი ყაზარმის ავეჯულობის.

დიდი ხანი კიდევ გონს ვერ მოვედი, დიდი ხანი უსიტყვოდ შევცქეროდი ამ სურათს გაშტერებული, მაგრამ მალე გამოვერკვიე და ჩავერიე საქმეში.

როცა დაწყნარდა, დაშოშმინდა არეულობა გამოირკვა, რომ შენობისათვის თეატრის დარბაზიდან ცეცხლიც წაეკიდნათ უხილავ ძალებს. ესეც ჩავაქრეთ, ესეც ჩავანელეთ, მაგრამ ყველაზე საყურადღებო აქ ის მოხდა, რომ ერთმა მუშამ, რომელიც ამ სურათს ჩემსავით გაშტერებული შესცქეროდა, წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა ეს სიტყვა იყო დაუფიქრებელი მაგრამ ლოღიკურად სწორი და სამართლიანი.

— კაცო, რას შვრები, არა გრცხვენიან? — შეეკითხა იგი, რომელსაც საწერი მაგიდა ერთი ფეხით იღლიაში ამოაჩარა და ისე მოარახრახებდა ეზოდან გარედ.

— ვერ ხედავ, რასაც ვშვრები?

— დაიგდე, დაიგდე ემ საათში! მერე უნდა თქონ ბალშევიკებმა დაანგრიესო... აბა ჯერ ხომ ბალშევიკები არ მოსულან? ხომ თითონ თქვენ ანგრევთ?!

სწორედ ამაგაში ასეთი ანარხია იყო. არც ბალშევიკი და არც კომუნისტი მე აქ არ შემხვედრია, აქ იყვნენ პიროვნებანი, რომლებიც ამ გვარ შემთხვევებში ყოველთვის მზად არიან თავი „ისახელონ“.

და აკი ისახელეს კიდეც.

სოფელს მფარველობდა ერთად-ერთი ადამიანი. ეს იყო წითელ ლაშქართა კომანდირი.

მასვე უნდოდა საჩქაროდ მოეწყო მიტინგი, შეეყარა ხალხი სოფლებიდან და აეხსნა გარემოება, რომელიც გლეხებს არ ესმოდათ. [illegible] მათთვის მუშაობის საჭიროება, რომ ვენახებს არ ამოაგდებენ, მინდვრებს არ წაართმევენ და სახლ კარს არ დაუნგრევენ. სოფლის მთელ განკარგულებაში აძლევდა აგრეთვე თავის წითელ ლაშქარს, რომელიც გლეხს მეურნეობაში მიეშველებოდა და სხ.

საუცხოვო იყო ეს კომანდირი, მაგრამ უფრო საუცხოვო ადამიანი იყო მისი მასპინძელი...

კონტრიბუცია, რომელიც ანგის „სამოზვანცებმა“ სოფელს დაადეს, გადაიხადა ვგონებ თორმეტმა კაცმა. იმათში, ვისაც ფული ხელ არ აღმოაჩნდათ, წაართვეს სხვაფერიც.

ერთს, თურმე, ორი ისეთი ძროხა დააკვლევინეს, რომლების მუცლებიდანაც ცოცხალი ხბოები ამოიყვანეს.

— კაცო, რათა კლავთ მაგათ, სხვები დაკალით! თურმე მეძროხე ეხვეწებოდა

— აი, მე გამომჭერით ყელი მე, ოღონდ მაგათ ნუ დამიკლავთ.

მაგრამ, ვის ეყურება? არც ამის თხოვნამ, არც ძროხის პატრონმა და არც სოფელმა არ იმოქმედა [illegible] მყვლეფლებზე.

ძროხ, დაკლეს, გაყიდინეს და კონტრიბუცია ამით გაინაღდეს.

როდესაც „რევკომს“ ამის შესახებ შევეკითხე, მითხრეს:

— ბრძანება მივიღეთ სიღნაღიდან და ჩვენც შევასრულეთო.

მოვითხოვე მოწერილობა ბრძანებისა.

— ქაღალდით არა გვქონდა, პირადათ გადმოგვცესო.

— ფული რაღად გინდოდათ?

— მაშ ჩვენ ჯამაგირები არ გვინდოდა?

— იცით, რომ თბილისში კომუნისტები მშივრები სხდებიან და ისე მუშაბენ? განა იქაც არ შეეძლოთ მაგ ზომებისათვის მიემართნათ, მაგრამ ეგ ზომები ხომ ხალხს შეაწუხებს? ხომ შეაძულებს კეთილ იდეებს? აქ თქვენ სასმელიც ბევრი გაქვთ და საჭმელიც, ფულიც არ არის თქვენთვის საჭირო, თქვენ სახლში არა ხართ? სხვაგან ხომ არ სცხოვრობთ? თბილისში კი არც საჭმელი და არც სასმელი. ზოგს მთელი დღე, დილიდან საღამომდის ზოგჯერ სრულებით უჭმელებიც და ხალხის საქმეს მუყაითად ასრულებენ. თქვენ კი, თქვენ?..

— ფული სადა გაქვთ, დაირიგეთ, თუ შეინახეთ?

— შენახულია, ჯერ ხელი არ გვიხლია.

ამ მდგომარეობაში იყო ანაგა, როდესაც მე ვეწვიე მას.

ხირსე-ის სიტყვამ, ჩემმა ჭიელენამ და კომანდირის შიშმა თავისი ჰქნეს.

დასაკლავად შემწყვდეული რამდენიმე ძროხა ისევ დაანთავისუფლეს. ვაჩინების და სხვა სურსათ-სანოვაგის რეკვიზიციებიდანაც მალე აიღეს ხელი. ერთი სიტყვით სოფელი ცოტად თუ ბევრად დაწყნარდა, დაშოშმინდა.

ამასობაში თბილისიდანაც კარგი ხმები მოდიოდა. სიღნაღის სამაზრო რევკომი უკვე ინიშნება და ამ დღეებში ამოვაო.

ამან კი ხალხი წაახალისა, წაათამამა.

— მაშ ესენი არა ყოფილან, ჰაი! მაშ ჩვენ სხვა მთავრობა გვყოლია?!. აი, მოვიდეს, მოვიდეს აქა? კუდით ქვას ასროლინებენ ამათ თუ არა?—ეხაროდა ხალხს.

ილიკო ქურხული.

(დასასრული იქნება)

ჯარის-კაცი რაჟდენ კუპატაძე

მსახურებდა თელავში მეექვსე ათასეულში და წაყვანილ იქმნა ტყვეთ წითელ არმიის ნაწილთა მიერ. მას აქეთ მ შესახებ არაფერი იცის მისმა მშო ლებმა. თუ ვინმემ მის შესახებ იც რამე, ვთხოვთ გვაცნობოს შემდეგი მი მართით: ქიათურა. რევკომის ბინაზ ვალიკო კუპატაძეს.

ორგ ნიზაციების და დაწესებულებების საყურადღებო

ცხადდება, რომ გაზეთ „კომუნისტ“-ში დასაბეჭდი განცხადებები და ანგარიშებ უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე; სხვა ენაზე დაწერილი მასალა არ მიიღებ

გაზ. „კომუნისტი“-ს მიღება შეიძლება გრუსცას ცენტრალურ ექსპედიციაში, (რუსთაველის პრ. № 11).